



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არხი

არხი, პიდროტექნიკაში, გრუნტში (თხრილში ან ყრილში) გაყვანილი კალაპოტი (წყალსატარი), რ-შიც წყალი დაწნევის გარეშე მიეღინება. დანიშნულების მიხედვით ა. შეიძლება იყოს ენერგეტ. (სადერივაციო), სარწყავი (საირიგაციო), სანაოსნო (სანავიგაციო), სადრენაჟო (ჭაობის ამოსაშრობი), წყალმომარაგების, ხე-ტყის დასაცურებელი, თევზსატარი, კომპლ. და სხვ. საქართველოში ცნობილია უმთავრესად სარწყავი და ენერგეტ. ა-ები. ა-ების მნიშვნელობას დიდი ხნის ისტორია აქვს. სარწყავი ა-ები გაჰყავდათ უძველეს დროში ეგვ., ჩინ. და ინდ. გვალვიან რ-ნებში. ვ ათ. წლის წინ სარწყავი ა-ები იყო ამიერკავკ. ტერიტორიაზე (ურარტუს სახელმწიფოში). საქართველოში სარწყავი ა-ების გაყვანა ძვ. წ. VI-V სს-ში დაიწყო. ამ დროს გაიყვანეს ურბნისის ზედა რუ, მუხრანის დიდი რუ და ტირიფონის ა. VI-X სს-ში გაიყვანეს რუისის, წილკნის, სამთავისის და სხვ. ა-ები. XII-XIII სს-ში ააგეს ძვ. ალაზნის სარწყავი ა., რ-იც ხალხში „თამარის არხის“ სახელწოდებითაა ცნობილი. XVI ს-ში გაიყვანეს გრემის, ხოლო XVIII-XIX სს-ში - ივრის ა-ები. XX ს. 40-იანი წლების შემდეგ ა-ების მშენებლობამ გეგმაზომიერი ხასიათი მიიღო. 1952 მწყობრში ჩადგა სამგორის სარწყავი სისტემა. საქართველოში შედარებით დიდი სარწყავი ა-ებია ალაზნის (92 კმ), ზედა სამგორის (85 კმ), ქვედა სამგორის (66 კმ), ტაშისკარის (62 კმ), ტირიფონის (48 კმ). ზედა ალაზნის ა-ის საერთო სიგრძე გვირაბების ჩათვლით 190 კმ-ია.

ენერგეტ. ა-ებიდან საქართველოში აღსანიშნავია სადერივაციო და წყალსარინი ა-ები: რიონპესის (საერთო სიგრძე 7,5 კმ, წყლის ხარჯი 100 მ³/წმ), ვარციხის ჰესების (საერთო სიგრძე 27,2 კმ, წყლის ხარჯი 350 მ³/წმ), ენგურის ვარდნილი ჰესების (საერთო სიგრძე 22,5 კმ, წყლის ხარჯი 731 მ³/წმ).

ლოტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა პ., ჰიდროელექტრული სადგურები, ნაწ. 1, თბ., 1967.

პ. მენგელია